საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

04 თებ 2025 წ.

KA000098402770225

№ **25/1076**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე [redacted] განცხადება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედებების თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, 2024 წლის 21 აპრილს, არასრულწლოვან შვილთან ერთად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან, სტამბულის გავლით, მიემგზავრებოდა ესპანეთში. მას აქვს შაქრიანი დიაბეტი და დღის განმავლობაში, რამდენჯერმე უნევს ინსულინის ინექციის გაკეთება. შესაბამისად, თან ჰქონდა ზურგჩანთა, რომელშიც განთავსებული იყო სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტები, მათ შორის, ინსულინის ინექციები, 10 ცალი ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ნემსი/შპრიცი (მოგზაურობის თითოეული დღისთვის - თითო), 3 ცალი ინსულინის მრავალჯერადი გამოყენების კალამი, ორი ცალი 5 მილიგრამიანი სამედიცინო ნემსი/შპრიცი და 1 ცალი ტემპერატურის საზომი თერმომეტრი.

[redacted] გადმოცემით, უსაფრთხოების ზონის გავლისას, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომელმა, [redacted] შეამოწმა მის ზურგჩანთაში არსებული მედიკამენტები და იმ საფუძვლით, რომ ზოგადად, ნემსი წარმოადგენს საჰაერო ხომალდის სალონით გადასატან აკრძალულ საგანს, ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ნემსები ჩამოართვა. მიუხედავად იმისა, რომ [redacted] [redacted] აღნიშნული ნემსების მნიშვნელობისა და ინსულინის ინექციის გაკეთების შეფერხების მოსალოდნელი შედეგები დეტალურად განუმარტა, მან ნემსები სპეციალურად განკუთვნილ ნაგვის ურნაში გადაყარა. განმცხადებელმა დაცვის თანამშრომელს განუმარტა აღნიშნული შპრიცების მნიშვნელობა და მისთვის, როგორც დიაბეტით

დაავადებულისთვის, ინსულინის ინექციის გაკეთების შეფერხების მოსალოდნელი შედეგები, თუმცა, აღნიშნულს არანაირი რეაგირება არ მოჰყვა. უფრო მეტიც, დაცვის პოლიციის თანამშრომელმა საპასუხოდ მას აგრესიული ტონითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა. მოცემულ ინციდენტს, ასევე, ესწრებოდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს, ქუთაისის განყოფილების სპეციალური კონტროლის უფროსი ინსპექტორი, [redacted] დახმარებისთვის მიმართა ცვლის უფროსის მოადგილესაც, თუმცა ასევე უმედეგოდ, ჩამორთმეული ნივთები არ დაუბრუნეს.

ამასთანავე, განმცხადებლის გადმოცემით, ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი ნემსების ჩამორთმევის მიუხედავად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა ნება დართეს ხომალდის სალონში 5 მილიგრამიანი სამედიცინო ნემსები აეტანა.

როგორც [redacted] განმარტავს, აღნიშნულის შედეგად, მოგზაურობის პერიოდში, ინსულინის ინექციებს ჩვეულებრივი შპრიცებით იკეთებდა, რაც არაერთ სირთულესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკთან იყო დაკავშირებული, ამასთანავე, მომხდარი ინციდენტის გამო, არასრულწლოვანმა შვილმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, [redacted] აღნიშნული ფაქტის შესახებ, 2024 წლის 20 მაისს აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. თავდაპირველად, განცხადება, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, თუმცა ვინაიდან უწყებიდან მიღებული ინფორმაცია არ შეიცავდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნებს, 2024 წლის 20 მაისის საჩივარი, კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეგზავნა.

განმცხადებლის თქმით, იგი არ იყო ინფორმირებული აღნიშნულ საჩივარზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[1]

უწყებიდან მიღებული პასუხით აპარატს ეცნობა, რომ მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[2]

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა და შეისწავლა გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[3] ამასთანავე, ხომალდის სალონით ნემსის გადატანის დასაშვებობასთან დაკავშირებით, აპარატმა გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან.[4]

სამართლებრივი დასაბუთება

წლების განმავლობაში, სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების საქმიანობის ეფექტიანობის პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანს წარმოადგენს.[5]

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებში, არაერთხელ გამახვილდა ყურადღება ხსენებულ პრობლემატიკაზე,[6] და ვინაიდან გენერალური ინსპექციების საქმიანობაში ხარვეზებთან დაკავშირებით მომართვიანობა ხშირი იყო ბოლო წლების განმავლობაშიც, სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წელსაც გააგრძელა სამართალდამცავთა უწყების შიდა კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობის კვლევა, რომლის შედეგები სპეციალურ ანგარიშში აისახა.[7]

ანგარიშებში მიმოხილულ საქმეებთან ერთად, წინამდებარე - [redacted] საქმეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა პოლიციელს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.[8]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[9]

პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[10]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანას წარმოადგენს.[11]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის

აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[12]

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.[13]

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, უნდა აღინიშნოს ასევე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული სახელმძღვანელო მითითებები და სტანდარტები, რომელთა თანახმად, დემოკრატიული ანგარიშვალდებულება მიზნად ისახავს პოლიციის ვალდებულებების კანონშესაბამის განხორციელებას და საწინააღმდეგო შემთხვევაში, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ანგარიშვალდებულება ოპერირებს ორ დონეზე: 1) სამართალდამცავი სტრუქტურები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე; 2) ცალკეულ თანამშრომლებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მოქალაქეების მიმართ არასათანადო, სასტიკი, თუ არაეთიკური, დისკრიმინაციული, უპატივცემულო მოპყრობის ან დამოკიდებულებისთვის, ასევე ნებისმიერი ქცევისთვის, რომელიც არღვევს ეთიკის წესებს ან ადამიანის უფლებებს. ნებისმიერი სამსახური, რომელიც მართლაც ანგარიშვალდებული, დამოუკიდებელია, პატივს სცემს და იცავს გამჭვირვალობასა და ადამიანის უფლებებს, შეძლებს კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარებას საზოგადოებასთან.[14]

წინამდებარე საქმის ანალიზი

როგორც სახალხო დამცველისთვის წარდგენილ განცხადებაში, ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოკითხვის ოქმში, [redacted] ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, უსაფრთხოების ზონის გავლისას, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა მიზანმიმართულად ჩამოართვეს მას 10 ცალი ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ნემსი/შპრიცი. ამასთანავე, ნება დართეს თვითმფრინავის სალონში 5 მილიგრამიანი სამედიცინო ნემსები აეტანა, რაც განმცხადებლისთვის გაუგებარი და ალოგიკურია, ვინაიდან თუ პატარა ზომის (ინსულინის) ნემსი ერთ შემთხვევაში უსაფრთხოდ არ ჩაითვალა, მაშინ რატომ ჩაითვალა უსაფრთხოდ უფრო დიდი ზომის სამედიცინო (ჩვეულებრივი) ნემსი. აღნიშნულის გათვალისწინებით, [redacted] მიიჩნევს, რომ საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა ნივთები მიზანმიმართულად ჩამოართვეს და მათი ქმედება მის მიერ მანამდე გამოხატული პროტესტით იყო გამოწვეული.

გენერალური ინსპექციიდან მიღებული მასალების[15] შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ შემოწმების ფარგლებში ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებს, [redacted], [redacted] და [redacted], ასევე, [redacted] (განმცხადებლის ძვილი).

საავიაციო უშიშროების თანამშრომლების განმარტებებში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრს ფრენის დროს ესაჭიროება მედიკამენტი ან მედიკამენტის მისაღებად საჭირო ნემსი, „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესის"[16] თანახმად, მან საავიაციო უშიშროების თანამშრომელს უნდა წარუდგინოს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრს თან არ აქვს მედიკამენტის გადასატანად საჭირო ცნობა, მაგრამ კონკრეტული მედიკამენტი ფრენის დროს მგზავრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გამონაკლისის დაშვების გადაწყვეტილებას, მგზავრთან გასაუბრების საფუძველზე, საავიაციო უშიშროების თანამშრომელი იღებს.

ახსნა-განმარტებების შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს მედიკამენტის გადატანისთვის საჭირო სამედიცინო დოკუმენტი არ ჰქონდა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მას დიაბეტი აქვს და მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო შესაბამისი დოზით ინსულინის მიღება, ნება დაერთო ხომალდის ბორტზე ინსულინის მრავალჯერადი გამოყენების კალმები აეტანა, ხოლო, რამდენადაც ნემსი წარმოადგენს საჰაერო ხომალდით გადასატანად აკრძალულ ნივთებს და არ იკვეთებოდა მისი გადატანის სასიცოცხლო აუცილებლობა, ცარიელი ნემსებისა და თერმომეტრის გადატანაზე უარი ეთქვა.

ამასთან, ვინაიდან განმცხადებელმა განმარტა, რომ ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი ნემსები იმდაგვარი იყო, რომლის საზღვარგარეთ შეძენასაც ვერ შეძლებდა, მას მათი რეგისტრირებულ ბარგში ჩადება და ამ პროცესში დახმარება შეეთავაზა, რაზეც განმცხადებელმა უარი განაცხადა. შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებასთან მიმართებით [redacted] და [redacted] ახსნა-განმარტებებში აღნიშნულია, რომ განმცხადებელს აეროპორტში მოქმედ წესებსა და ინსტრუქციებზე ინფორმაცია მშვიდ ვითარებაში მიეწოდა და მის მიმართ რაიმე სახის შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია.

მოცემულ ახსნა-განმარტებებში არ არის დასმული შესაბამისი კითხვები ჩვეულებრივი 5 მილიგრამიანი სამედიცინო ნემსების დაშვების საკითხთან დაკავშირებით, რომლებზეც მიუთითებს როგორც უშუალოდ [redacted] ასევე, მისი შვილი. შესაბამისად, გაურკვეველია, რა ბედი ეწია აღნიშნულ ნივთებს. ამასთანავე, არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, რატომ იყო მიჩნეული კონკრეტულად პატარა ზომის ნემსი სერიოზული საფრთხის შქონედ.

დამატებით აღსანიშნავია, რომ სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან მიღებული განმარტებით,[17] „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენის წინა შემოწმების წესი“ არ ითვალისწინებს, კონკრეტულად, ინსულინისთვის განკუთვნილი სპეციალური ნემსის საჰაერო ხომალდის სალონით გადაზიდვის აკრძალვას, თუმცა, ამავე წესის №1 დანართის შესაბამისად, საჰაერო ხომალდის სალონით აკრძალულია ბასრი წვერის ან პირის მქონე საგნების გადაზიდვა, რომელთა გამოყენებამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. წესი, ასევე, არ ითვალისწინებს უშუალოდ ნემსის საჰაერო ხომალდის სალონით გადატანის მიზნით სამედიცინო დოკუმენტის (როგორიცაა ფორმა 100) ან რაიმე სახის ნებართვის წარდგენის ვალდებულებასაც.

როგორც აღინიშნა, უწყების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება შემოიფარგლა მხოლოდ ზემოაღნიშნული პირების ზედაპირული გამოკითხვით, რაც ცხადყოფს, რომ შემოწმება არასრულყოფილია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. არასრულყოფილად არიან გამოკითხულნი ინციდენტის მონაწილე საავიაციო უშიშროების თანამშრომლები. მათ არ დაესვათ შესაბამისი კითხვები ზურგჩანთაში არსებულ ჩვეულებრივ 5 მილიგრამიან სამედიცინო ნემსებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს საკითხი ღიად არის დატოვებული და გაურკვეველია, რატომ ჩამოერთვა მგზავრს მხოლოდ ინსულინის ნემსები და ამავდროულად არ ჩამოერთვა ჩვეულებრივი სამედიცინო ნემსები, რაზეც ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ [redacted] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გასაუბრებისას, ასევე, გამოკითხვის დროს ახსენებს მისი შვილი [redacted] და რომლებიც, შესაძლოა, ისეთივე ან მეტი საფრთხის მქონე ნივთად იქნას მიჩნეული; შესაბამისად, გაურკვეველი დარჩა, რატომ იქნა მიჩნეული საფრთხის შემცველად ინსულინის ნემსები ჩვეულებრივ სამედიცინო ნემსებთან შედარებით, ხომ არ იყო საავიაციო უშიშროების თანამშრომლების გადაწყვეტილება განპირობებული არალეგიტიმური მიზნით და [redacted] მიმართ გარკვეული უარყოფითი განწყობით;
2. არ არის მოპოვებული საქმისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი ნეიტრალური მტკიცებულება. უფრო მეტიც, არ იკვეთება ასეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. მაგალითისთვის, გამოკითხვების დროს არ არის დაზუსტებული და შემდგომ მოპოვებული ინფორმაცია ინციდენტის სხვა შესაძლო თვითმხილველების შესახებ, რომლებიც მიაწოდებდნენ გენერალურ ინსპექციას სრულყოფილ ინფორმაციას [redacted] მიმართ განხორციელებული შესაძლო სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. ასევე, მასალებიდან არ იკვეთება ჰქონდათ თუ არა გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს წვდომა აეროპორტის უსაფრთხოების ზონაში არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებზე, არ არის დასმული კითხვები იმის შესახებ, აღჭურვილები იყვნენ თუ არა ინციდენტის მონაწილე საავიაციო უშიშროების თანამშრომლები სამხრე კამერებით და შესაძლებელი იყო თუ არა შესაბამისი ვიდეოჩანაწერების დათვალიერება;
3. საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი გენერალური ინსპექციის მიერ მომზადებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების ამსახველი შესაბამისი დასკვნა[18] და მოქალაქესთან გაგზავნილი პასუხი.

მოცემულ შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატი ყურადღებას ამახვილებს გენერალური ინსპექციის მიერ აღნიშნული საქმის შესწავლის პროცედურულ ნაწილზე. წინადადებით გვსურს სამინისტროს ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ **როდესაც მოქალაქე საუბრობს მის მიმართ უწყების თანამშრომლების მხრიდან კანონშეუსაბამო მოპყრობაზე და თვითნებურ გადაწყვეტილებებზე, მისი ეს საჩივარი უნდა იქნეს გამოკვლეული ყოველმხრივ და ჯეროვნად. მნიშვნელოვანი იყო გენერალურ ინსპექციას შეესწავლა საქმის ყველა დეტალი, მოეპოვებინა ყველა შესაძლო რელევანტური მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდგომ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.**

დასკვნა

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციისთვის, ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის საჩივარი არასრულყოფილად იყო შესწავლილი და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლ(ებ)ის მიმართ, რომელმაც/რომლებმაც არასრულყოფილად აწარმოა/აწარმოეს სამსახურებრივი შემოწმება [redacted] უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე.[19]

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 17 ივნისის №2024/1960 წერილი.

[2] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 28 ივნისის №MIA22401940539 პასუხი.

[3] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 1 ივლისის №2024/2356 წერილი.

[4] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 16 ივლისის № 2024/2842 წერილი.

[5] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ". ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zPFEkO>, [ბოლოს ნანახია: 28.01.2025].

[6] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 131-140, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/mpG08> [ბოლოს ნანახია: 28.01.2025]. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 219-223, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/Nmck2> [ბოლოს ნანახია: 28.01.2025]

[7] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი", 2024. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/yKqUr> [ბოლოს ნანახია: 28.01.2025]

[8] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხ. მე-8, პ. 1.

[9] იქვე, მუხ. მე-9, პ. 1.

[10] იქვე, მუხ. მე-8, პ. 2.

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ".

[12] იქვე, მუხ. 9, პუნქ. 2.

[13] იქვე, მუხ. 3, პუნქტ. ბ^2.

[14] *Guittet, Emmanuel-Pierre/Vavoula, Niovi/et.al.,* Democratic Oversight of the Police, 2022, გვ. 33, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TgXGTU> [ბოლოს ნანახია: 21.01.2025].

[15] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 ივლისის №MIA02402020537 პასუხი.

[16] სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 3 ივლისის №109 ბრძანება „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ".

[17] სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2024 წლის 19 ივლისის №04/2304 წერილი.

[18] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 9, ქვეპ. „5".

[19] სამსახურებრივი შემოწმების მასალებიდან არ იკვეთება შემოწმების მწარმოებელი პირ(ებ)ის ვინაობა.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი